



გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტრი შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.



ხელის-მოწერა: თბილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოტეკაში

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიანაშვილის სახლში. ქანტორა: ივანოვის ბიბლიოტეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლში.

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

საქართველო: სიკვდილს შემდეგ სინანული — წერილი აბაზი — რედაქციისაგან — „დროების“ კორესპონდენცია: ხარაგაულისაგან — ქიქოძისაგან — შოთაშვილისაგან — უცხოეთი: საფრანგეთი — ინგლისი — მსახიობი — ჩაის გაშენება ქაქუცისაში, ად. მტინიჭერისაგანცხადება.

სამართლებლო

სიკვდილს შემდეგ სინანული

ძნელი დასაჯებელია, რომ ამოდენი სისხლის, სამართლის საქმე, როგორც ჩვენშია, კიდევ სადმე მოინახოს! შიველ დღე ახალი და ახალი შესაძრწუნებელი დანაშაულობა გესმისთ! ჰხედავ: აქ მამა მოუკლავს შვილს! იქ ძმა ძმას ხანჯალსა სცემს მუცელში! ძიდე სხვაგან საბრალო ოჯახს თავს ესხმებიან, ახრებენ სახლ-კარს, სჩვენ და სტანჯვენ მასპინძელს ორიოდ გროშისთვის! მართის სიტყვით, აშკარი და მოურიდალი ძალადობა სჩნდება! საზოგადოება შიშით და გაკვირვებით უცქერს ამ ნაირ საზარელ მოვლინებას; ის ნიდავ ძრწოლაში და ძაგ-ძაგში თავის საკუთრებისთვის, თავისუფლებისთვის, ცოლ-შვილისთვის... შბრალოთა ესტყვათ: აღამიანის პირუტყული მხარეები ლაგამ გადახსნილია და თითოეულს საზოგადოების წევრს საოცარი შემთხვევა მოვლის!

ფელტონი

სამხიარულო, თორემ სამწუხარო ამბები ჩვენ წმირად მოგვდის სხვა და სხვა საქართველოს მხარეებიდან. ბი მაგალითად ზოგიერთი კორესპონდენციის შინაარსი: „აქ საზარელი საქმე მოხდა! მართა ახალგაზდა ყმაწვილმა ს—მა შეკრებილებაში ჩამოიღო თავის ცოლი ცხენიდან და უმოწყალოდ სცემა. ათი, თუ თხმეტორდე ვირი — ეს სიტყვა ლათინურათ, მამაცს ჰქვიან, — რომელიც ამ ქალს ახლდნენ უცქერდნენ სვირს და არც კი გააკავეს ტუტუცი და ეფუტურნი მუღღი...“ „ს. ს. ამა და ამ საბატიო კაცმა, ერთი უბრალო შენიშენისთვის, ცოლი მათრახის ცემით დაასრფა...“ „მ. ს. პატივცემულმა თავადმა X — მა ისე მიბრიგა ერთხელ თავისი ძვირფასი (?) მუღღი, რომ საბრალო ქალი მერმე ევლარც კი წამომდგარა ლოგინიდან...“ და გვთხოვენ ყველა ამ ამბების დაბეჭდვას. ჩვენ, რასაკვირველია, სრული თანამგრძნობელი ვართ, ამისთანა დარბაისელი კაცების სახელი სამუდამოთ გააკიცხვას და წყევას მიეცეს, მაგრამ ესეც არის, ძალიან საძნელო კია, რომ თითოეულმა სკანდალმა, რომელიც ხდება ჩვენს ქვეყანაში ადგილი იპოვნოს გაზეთში.

როდესაც ცხოვრება ამისთანა სამწუხარო სურათს წარმოადგენს, მაშინ დამსჯელი ზომები, წვლება და ტანჯვა ცდამაშავისა, სრულიად ვერ გაასწორებენ საზოგადოების დაცემულს ზნებას. შიველი დასჯა, სისასტიკე, დამტკიცებელია სწავლისგან, კიდევ უმეტესად აბრაზებენ და აქეზებენ კაცს ცუდის მოხდენაზედ. იქ, სადაც უფრო ლობიერი კანონებია, ყოველთვის ნაკლებათ ხდება დანაშაულობა. შემართია, თითოეული ხალხი უნდა ველტოდეს თავის სიცოცხლის უშიშრად მორთვას, ისე რომ ყოველ მოქალაქეს შეეძლოს თავისუფლად შრომა და სარგებლობაც ამ შრომისგან. მართალია, ამას ყველა ხალხი სცდილობს, მაგრამ არ იცის კი ნამდვილი საშუალებები თავის წვერის მხეცური ინსტიტუტების შესაღამებლად. როგორც ზეითა ესტყვით, ბევრს ადგილს დასჯას საუკეთესო წამლთ პოულობენ. ის წმინდა სიბრძნეა. სტატისტიკა ერთობ ნათლად გვიჩვენებს ამ ღონისძიების მაგნიტობას. აქ საქმე საეჭვოდ როდია. სიფრებს ვერც ერთი კანონ-მდებლის „ღრმა მოსაზრებანი“, „ზნობითი ჭეშმარიტებანი“ ვერ გაეცევა! ის ყოველთვის თვალ-წინ ექნება საზოგადოებას, როგორც ბაბილონის სასახლეში გამოჩენილი სიტყვები: „მანე, ფაკელ, ფარეს...“, და თუ რაიმე ნამდვილ გარდაწყვეტილებაზედ არ დადგა საზოგადოება, იმასაც ისეთი ბედი მოაწყდება, როგორც ერთ მხეცურს ანარხიში მყოფ ხალხსა... მაგრამ მაგდენი გასაქირი რომ არა არის

ბა კერძო ფაქტებით აივოს. საზოგადოებრივ ინტერესის დაკმაყოფილება და მასთან კერძო შემთხვევების მოყვანაც, უადგილობის გამო, არ მოხერხდება არას ვხვით. ამისთვის იმედი გვაქვს არ შეგვირისხვენ ზოგიერთი კორესპონდენციების დაუბეჭდელიობისთვის. ჩვენ შემდეგი სიტუმა მივიღეთ თითოეულს ჩვენი ცხოვრების უხეირო მოვლინებაზედ: როდესაც რომელიმე მოვლინება საზოგადო სენათ გვექნება შენიშნული და დავრწმუნდებით, როგორც ცნობებით, აგრეთვე საკუთარს დაკვირვებით, მაშინ ჩვენ ყველა ამეზხედ ერთს საზოგადოთსახელთ-მძღვენელო და გარდაწყვეტილს აზრს წარმოვთქვამთ. მაგრამ აქედან ის არაფერ გამოიყვანოს, რომ ისეთს ასადლეგებელ ამბებს, როგორსაც ჩვენ გვატყობინებენ ხოლმე, იმწამსვე არ დაბეჭდავთ. \* \* \* არა! ნეტავი გვეტყოდეს ვინმე, სადაურთ ჩვეულება და წესია დედაკაცის გალახვა?... ძველ ქართველობაში ყოფილა ეს სიგლახავი? შიფილა სუსტისა და უიარაღო არსების დაჯახება? არა. მაშ ახალი განათლება გვიქადაგებს ქალის მათრახით დამუშტებით დასივებას? არა. მაშ საიდან, რა ეშმაკმა შემოიღო ეს საზარლობა, ეს ეაქუცის შემარცხვენილი საქმე? ბი რამ: ყალბმა ცხოვრე

რამ ხომ ადვილად მოეწყობა წამლობა ამ სენს! ნეტავი ერთი რათ ვიმტყვევთ თავს და ვიხეთქთ გულს უბრალო ჭეშმარიტების გასაგებთ? ბი ბეჯითი საშუალება: მიეცეს ყოველს ყმაწვილს დასაწყისი განათლება; ჩვენერგოს იმათ გულში მოქალაქობრივი მოვალეობა, საკუთარი და თავის მოძმის უფლება! მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით ნიდავ სამხედრო მდგომარეობაში, თორემ რასა ჰგავს ეს, ბატონებო? აქვენი გვიანსებები: მშობლის სურვილის წინააღმდეგ ყმაწვილის სწავლება მშობლის უფლების დარღვევა არისო. ის არის ეალდებულდებით სწავლის წინააღმდეგების საბუთი. მნახოთ აბა, რა იფარება აქ. მით დროს მამას თავის შვილის გაყიდვის ნება ჰქონდა და, თუ სურდა, სიკვდილითაც. მთ რომ ვისმეს სული დაეპრა ამ ნაირ „წმინდა“ მამის უფლებებზედ, მაშინდელი ვაჟ-ბატონები იმ წამს ყვირილს დაიწყებდენ: „ეს მშობლის უფლების უარ-ყოფა“ არისო. ღღეს ცოტათი შელბა ეს ბარბაროსებრივი აზრი. ღღეს ვერაფერ ვერ გაბედავს აღიაროს, რომ მშობელს თავის ნაშობზედ სიკვდილ-სიცოცხლის უფლება ჰქონდა. მაგრამ შევხედოთ ერთი, რა ძალა დარჩენია მამის იმას: მამას აქვს ნება აყოფოს შვილი ნიდავ უმეტრების მონაობაში, არ შეიყვანოს იგი არასოდეს განათლებულ წრეში, დაუხსტოს ყოველს გზა განათლებისადმი, დააყრუოს და დაბრძნავოს მისი გრძნობა, ნიქი, ლტოლილება და ათასი ისეთი თვისებანი, ურომლისოდ კაცი ნახევარი

ბამ, ძველი თვისებების დაიწყებამ და ნამდვილი ახალი ზნის მიუხდენელობამ. სამოციის, სამოცდა ათას წლის წინეთ, არც როზგის ხმარება სცადნია გლეხისთვის ჩვენს მებატონეებს, მაგრამ გუშინ არ იყო როზგი და განათლება სინონიმით (თანასწორად) ითვლებოდა ჩვენში? მართალია, ძველი ქართველი მოჰკლავდა თავის ცოლს; მაგრამ ის პასუხსაც აცებდა! მხლა ქართველი კი ყოველ ცისმარია დღე სცემს დედაკაცს — და იგი არა ვითარს დასჯას არ ექვემდებარება. მეორე წამში ლოშნას და სეყარულსაც დაუწყებს დადილავებულს ცოლს. რა საძაგლობა! როგორისიბინძურე და ზნობითი დაცემა! \* \* \* აბა ერთი გადაეჯლოთ თვალი, შევხედოთ: შეუძლიან მარტო მამაკაცს უდედაკაცოთ პროგრესისი? არა! ამისი დარწმუნება შესასტიკი ხუმრობა იქნებოდა! ამბობენ: ყოველი წინ მსიელობა, განათლება მარტო ქმრებს მიეწერებაო. ის ცხადი სიცრუეა, როგორც ზნობაში, ვგრეთვე ისტორიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ბუნებით საგნებში. მაშ სადაა სიმართლე? ბი ინებეთ: ხედს უნდა რომ თავის თავი ძუს მოაწონოს: ეს ბუნებაში სხეულის გამაშენიერებისა და გაუმჯობესობის მიზეზია. ძაცს უნდა რომ ქალს თავი მოაწონოს:

კაცია მხოლოდ. ის ნება აქვს მამას! გუშინ არ იყო, რომ იცავდენ ბატონყმობის სამართლიანობას? არ გაგვიგონია განა ჩვენ სამღურაო: „რათ ასწავლის ეს ოჯახ-დაქცეული ამ ჩემი გლეხის შვილს წიგნსაო!“ მონის შვილის ამოსადების სწავლება იმისი ბატონის უფლების დარღვევა, გაქურდვა იყო. ე. ი. სისხლის სამართლის დანაშაულობა, წარტაცება საკუთრებისა. ბი, როგორი აზრი სუფედვა ამ ბოლოს დრომდის? ღღეს სწავლის ეალდებულად განდასიგევე საფუძველი აბრკოლება, რომელიც ბატონის ყმის შვილს სწავლას უკრძალავდა. აქაც ისე სჯიან. „მალდებულდებით სწავლა მშობლის უფლების დარღვევა არისო.“ მთმცა ეს უფლება შვილს მამის საკუთრებათ ხდის და ურიცხვი ენება მოაქვს საზოგადოებისათვის, მაგრამ ამას ვინ დასდევს! ამას გარდა სხვა საფუძველიც არის, რომელიც არ უნდა დაევიწყოთ: ველური კაცი თავის შვილს ორ კედელს შუა ჩაუდებს თავს, რომ შუბლი გაუბრტყელოს. ჩვენ კი იმითი ეკმაყოფილობით, რომ თავსაც და აზრსაც ჩვენის შვილებისას ვევიწროებთ და ვამახინჯებთ ისეთ ხარისხამდე, რომ ისინი აღამიანის შთამამავლობას აღარა ჰგეანან. მართალია, ჩვენ არ ეკლავთ შვილებს და არც ეყიდით, ჩვენ მხოლოდ იმათი ნიქის დაბადებას უშლით. ის ხომ მკვლელობა არ არის, „ეს მარტო მუცელის წახდენა! მხლა ეიქითხვით: განა ველურ კაცზედ ნაკლები უფლება გექონია ჩვენ ჩვენს შვილებზედ?

ეს კაცობრიობის გვარის გაუმჯობესობაა. ღედაკაცის ჩათვლა ისეთ არსებათ, რომელიც მხოლოდ თავის შესაქცევად, გასართობ ნივთად, დასაჩაგრავათ გამოგჩენია: ჩვენ გან ეს დედაკაცის ყოველს ძუ ცხოველზედ უმეტესად დამტკიცება იქნება. ის ხომ ძველი ფილოსოფიაა, ძველი ისტორია, ძველი ბუნებითი სწავლა! მამოვიდეთ ამ უღაბნოლამ. \* \* \* როგორ უფრო მართალი იყო ძველი ხალხები, უფრო გონიერი, როდესაც ისინი ამშენიერებდნენ თავის ოლიპის მთას ქალების ღმერთებითა, რომელიც ესარჩლებოდნენ ღმერთებს დედამწის გაჩენისათვის! მაშ ვიცნოთ ჩვენის მხრითაც, რომ ქალი სანახევროთ მონაწილეა მოთხრობების, რწმუნებების და ზნობის დაარსებაში. მივილოთ ეს! ბერძნების და რომაელების ცხოვრება საესეა დედაკაცის სულითა, განმავლობითა. მათი ძველები, ნაწერები გვამტკიცებენ ამაზედ და მარტო ბრმა ვერ შენიშნავს ამ გარემოებას. დაბრძნებული ყალბი ლიტერატურული ქუთით ზოგიერთი მწერლები ჰფიქრობენ, რომ დედაკაცი განათლებაში არას ფერს არ ნიშნავს, რადგანაც ის არ სწერს წიგნებსა. მითქვას წიგნებიც და კანონებიც უმთავრესი საფუძველი იყო კაცობრიობის ბედნიერებისთვის!

მითი ესა: როგორ უარ-ყვით, აბა, უფ-  
ლება უმეცრებისა, მამა-პაპური, ისტორიუ-  
ლი, ძველთაგან ძველი, რომელიც კერპთ-  
თაყვანის-ცემის და ველური ცხოვრების  
დროის არის!...

ბევრჯერ ძვირად დაგვედომია ჩვენი ჯიუ-  
ტობა და ახალი ცხოვრების მოთხოვნილე-  
ბის უყურადღებობა, მაგრამ ეხლა ყველას  
დაგვაფიქვებს უთუოდ, თუ რამე არ მოვა-  
გვარეთ.

თუ მმართველობა მისცემს საშუალებას  
ხალხს, რომ სწავლა ელდებულები და უფა-  
სური იქნეს, ხომ კარგი, თორემ ჩვენ თი-  
თონ უნდა ვიზრუნოთ ჩვენთვისვე. არც  
ყოველთვის სხვის პირში შეჩერება და მი-  
სი იმედით სიცოცხლე ვარგა. მითი რომ,  
არც საკადრისია და არც სასარგებლო. ჩვენ  
თითონ უნდა მოვიფიქროთ ჩვენი თავისა  
და ჩვენი ოჯახის შევლა.

სანამდის არ გვექნება ელდებულებითი  
და მუქი სწავლა, მანამდის დარწმუნებუ-  
ლი უნდა ვიყოთ, ჩვენი დაცემული ზნეობა  
ისევე დღევანდელ საზარელ მდგომარეობაში  
დარჩება.

ჩვენ მოგახსენებთ წამალს, მაგრამ მიღე-  
ბა და სარგებლობა ამ წამლით, ეს თქვენი  
საქმე გახლავს, ბატონებო.

არა, ამაზედ მეტი ცხელი კიდევ რაღა  
არის ქვეყანაზედ: საქართველოში ათასი და  
ათი-ათასი უსწავლელი და უსაქმო ყმაწვი-  
ლი კაცია. შევლას ამთაქვე მოთხოვნილება,  
საჭიროება, რომლის დასაკმაყოფილებლად,  
ამთ საზოგადოება არ აძლევს არც ასა-  
რებს, არც ცოდნას. რა უნდა ჰქნან ამ შემ-  
თხვევაში?

თუ, შეიძლება მცირე ღონისძიებებზედ  
დაჯერება, პატრონანი და უბრალო შრომა,  
უარის-ყოფა იმ მოთხოვნილებათა და სა-  
მოგონებათა, რომელიც აქვთ მათ ტოლსა და  
ამხანაგს? მაგრამ ამისთვის ხომ მტკიცე ზნეო-  
ბითი გახსნილობა და სწავლა საჭირო! ეს  
ამ საბრალო ახალგაზღვრებას არა აქვს, არა აქვს  
არც საშუალება საცხოვრებელი და ვარდება  
იგი ისევე ძალადობის, ავაზაკობის და ნია-  
დაგ შეფოთიანს ცხოვრებაში. მისი ბოლოია,

მართალია, კაცი სწავრს კანონს, მაგრამ  
ზნეობის შექმნა იმას არ შეუძლია, ეს  
ქალის საქმეა. მხოლოდ ის შესაძლებელია ამ  
უმთავრეს საზოგადოების აღმადგენელს  
მოვალეობას!

შეხედეთ, როგორ ჰბადებს შემცდარი  
აზრი საზარელს აზრს: აქ ჩვენ უბრალო  
ქეშმარიტებაგვეფარება და ვერაფერს გვხვადეთ.  
იმ აზრიდან, რომ მართო მამაკაცია ცივი-  
ლიზაციის (განათლების) შემქმნელი, გამო-  
ვიდა ყველა დანარჩენი სიყალბეები, ე. ი.  
რომ ქალი უსარგებლოა, რომ ის კაცის  
სასიამოვნოდ და საჭიფოთ არის მართო გა-  
ჩენილი და სხე. და სხე. ეს ძველი საზოგა-  
დო უგუნურობაა, რომელსაც ჩვენს დრომ-  
დისაც ტან-მრთელად მოუწევია.

მამაკაცს დაუმონებია დედაკაცი მომე-  
ტებულად, ვიდრე ხვად პირუტყვებს ძუ.  
ძუ ღომი, იმიტომ რომ იმას ფაფარი არა  
აქვს, განა ხვადი ღომის სათამაშო და  
სამასხარო ნიეთია? აგრეთვე უმრავლეს  
ფრინველთ შორის დედალ-მამალი სრუ-  
ლი თანასწორი არიან ერთმანერთში. მამ  
ქალი რათ უნდა იყოს მხოლოდ გასართო  
ბი კაცისთვის? ეს ძველი ცხოვრების წე-  
სია, საჭიროა განა მომავალშია?

როდესაც ქმარი ირთავს ცოდს, ის მა-  
შინ ართმევს მას ყოველივე პიროვნულ უფ-  
ლებას და თითონ ღებულობს აპეკუნობას.

მიზრმანეთ ერთი, ამ ნაირი სამწუხარო, მა-  
გრამ აუცილებელი მოვლენა, თქვენი, თუ  
ამ ძალით და ენერგიით საესე კაცებისა?

მიეცი თ იმათ სწავლა, მიეცი თ სამოქმედო  
ადგილი ღ ნახეთ მამან, თუ ყველაფერი  
წესიერად არ წავიდეს. მანამდის კი სამდუ-  
რავი და ლანძღვა უსაფუძვლოა.

მეველი

წვრილი ამბავი.

— ბუშინ, 31 იანვარს, მთელისის საზამ-  
თრო თეატრში იყო კიდევ ქართული სპეკ-  
ტაკლი. წარმოდგინეს ილ. ჭავჭავაძის „სუკე-  
ნები მომრიგებელ შუამდგომელთან“ და  
ანტონოვის კომედია „ქმარი ხუთის ცო-  
ლისა“. ხალხი ბევრი არ ყოფილა, იმდენი  
თუ იქნებოდა, რამდენიც „ძალათ ექიმის“  
წამოდგენაზედ დაესწრო. ეს ერთის მხრით  
კიდევ გვიან გამოცხადების ბრალი უნდა  
ყოფილიყოს და მეორეს მხრით იმისგანა,  
რომ გუშინ საღამოს მრავალი ხალხი „მთე-  
ლისის წრემ“, „მუზიკალურმა საზოგადოე-  
ბამ“ და საზოგადოლო თეატრში ფოკუსებმა  
გადიბირა. მაგიერად თეატრის გაღვრევაში  
ორი იმოდენა ხალხი იყო, ვინემ წასრული  
ქართული წარმოდგენის დროს.

ბუშინდელი წარმოდგენა ბევრად სჯობ-  
და წასრულის ორშაბათისას; მაშინდელი პი-  
ესები ორი-სამი მოქმედი პირის წყლობით  
გამოჩნდა ხეირიანი, გუშინდელი კი საზოგა-  
დოდ კარგი წარმოდგენა იყო, ზოგმა მშვე-  
ნიერადაც ითამაშეს; საკაცხავედ ასრულემ-  
და თავის როლს მხოლოდ მომრიგებელი  
შუამდგომელი. მაგრამ, ჩვენის აზრით, იმ  
მომრიგებელი შუამდგომელის მაგიერ რომ  
მუთაქა აეყუდათ კრესლოში, მაშინაც არ  
დაეკარგებოდა ილ. ჭავჭავაძის სცენებს თა-  
ვისი ღონისძიება და იმეგარსევე შთაბეჭდილე-  
ბას მოახდენდა, რა გვარიც მოახდინა, ამი-  
ტომ რომ ამ სცენებში მართო მთხოვრე-  
ლების როლია ყურადღების ღირსი.

უბრალო ხალხის სიმრავლე ყოველ ქარ-  
თულ წარმოდგენაზედ გვიმტკიცებს, რომ

რისთვის? იქნება ცოლი ბევრათ ჭკვიანი, გა-  
ნათლებული და სასარგებლოა? არა, ეს ვერ  
იხსნის ქალს. ქმარი იტაცებს თავისთვის თა-  
ვისუფლებას, ის დადის ყველგან, ღებულობს  
მონაწილეობას საქვეყნო საქმეებში, სწავ-  
ლაში, ლიტერატურაში, უსამართლოებას-  
თან ბრძოლაში და ცოდს კი სამზარეუ-  
ლოს კერძისთან სტოებს. საქმელების სამ-  
ზადებელათ, სახლისა და პირუტყვის მოსაე-  
ლელათ. იქნება ეს ქალი თავის ქმრის ას-  
პარეზზედ უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი  
იქნებოდა და ქმარი ცოდის ადგილას? ამას  
ვინ დასდებს. „მე ნება მაქვს“ — ამბობს ქა-  
ცი „კიტ კიტისაგან“ — და დაეპტერე, და-  
ვანგრევე ყველაფერს.

\* \*

სადეო არ არის, რომ ქალის ნიჭიერება,  
მისი პიროვნული ღირსებები არ უცნია  
ჯერ საზოგადოებას. ჩვენ ეფიქრობთ, თუ  
კი რომ ქალს მივიღებთ სიამოვნებისა,  
განცხრომისა და ფუფუნების ნიეთად, მა-  
შინ ის სრულიად დაჯილდოებული იქნე-  
ბა მისი უმთავრესი უფლებების წართმევის-  
თვის. ეს არის უღრმავესი და უნამდვილესი  
საფუძველი ქალის დაჩაგრული მდგომარეო-  
ბისა. აბა ვიკითხოთ ერთი: შეეფერება ამ  
ნაირი წესი ქალის თვისებებს, მის ბუნების  
დანიშნულებას? ზავსინჯოთ.

ამ საგანზედ მიქტორ ჰუგო ამბობს: მე-

ის მოკლებულია ყოველივე ხეირიან გასარ-  
თობს და ამისთვის საჭიროა რომ ჩვენ ქარ-  
თული თეატრის აშენებასა და ტრუპის და-  
წესებას ვსცდილობდეთ. მაგრამ ამაზედ ლა-  
პარაკი შემდეგ იყოს.

რედაქციისაგან.

რუსული გაზეთის „მთელისის მოამბის“  
მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილია უფ. და-  
ვით ბიორგის ძის მრისთვის თხოვნით შემ-  
დეგი შენიშვნა:

„გაზეთის „ღროების“ ოთხას მერვე (!)  
ნომერში \*), ე. ი. ამ წლის 25 იანვრისაში,  
დაბეჭდილია შენიშვნა ქართულ წარმოდგე-  
ნაზედ, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვა-  
მია, რომ წარმოდგინეს შემდეგი კომე-  
დური პიესები: ბ. მრისთვისაგან გაფუჭებუ-  
ლი მოლიერის კომედია „ძალათ ექიმი“ და  
სხე.

„მე აღრევე ვიცოდი, რომ იმერული გა-  
ზეთი „ღრობა“ ამგვარად მოიხსენებდა ქარ-  
თული თეატრის დამფუძნებელს, ვინათგან  
მას აქვთ, რაც იმის რედაქციაში დრამატი-  
კულ გენოზსად უცნობი კაცი აღმოჩნდა,  
გაზეთმა სრულიად შეიცვალა თავისი აზრი  
ბ. მრისთავედ, რომელსაც ის როდისღაც  
აქებდა.

„მაგრამ ამაზედ ლაპარაკი ჩვენ არა გე-  
სურს, ჩვენ გვიანდა ვსთქვათ, რომ „ძალათ  
ექიმი“ სრულიადაც არ არის ბ. მრისთე-  
ვისაგან „გაფუჭებული“, ის არის ი. მრის-  
თვისაგან „გადმოკეთებული“ მაგრამ ბ. მრი-  
სთვის თხოვრებათ გამოძეგმლის დაუდევ-  
ნელობით დაბეჭდილია ამ აეტორის თხო-  
ვებებში. მე მინდოდა ეს ამბავი წინადავე  
გამომეცხადებია, რაკი შევიტყუე, რომ სხე-  
ნებული პიესის წარმოდგენას აპირებენა,  
მაგრამ ერთმა სურვილმა მაკლუნა: მე მინ-  
დოდა გამომეცადა გაზეთის „ღროების“  
ბიბლიოგრაფიული ცოდნა. მეოცნებ, დიდი

\*) რად უყვირს უფ. დ. მრისთავს, რომელსაც  
მერობა სიგარეტზედაც და სიგანზედაც გაღვრებენია,  
ეს გაზეთის ნომრების დაფუძნებლამ ანგარიში?

თვრამეტე საუკუნემ შესრულა უდიდებუ-  
ლესი მიზანი — განათავისუფლა კაცი მონა-  
ობისაგან. ჩვენმა საუკუნემაც აგრეთვე უნ-  
და მოიქცეს შესახებ ქალისა: მან უნდა აღ-  
მალლოს ქალი სრული დამოუკიდებლობის  
მინიჭებით საზოგადოებაში.

პირველად საჭიროა, დადგინოს კაცმა  
ძველი უსაფუძვლო და უგუნური აზრის მა-  
გიერად, მითომ მართო კაცი შექმნის განათ-  
ლებას, რომ ქალიც არ ჩამორჩენია იმას უკან  
საზოგადოების განახლებაში. დედა-კაცი მარ-  
ტო ყმაწვილს კი არ ატარებს თავის მკერდ-  
ზედ, არამედ მთელ კაცობრიობასაც. არა,  
ამაზედ ნათელი რაღაა? როდესაც თქვენ  
დამპირებთ ქალს, მაშინ მცირდება კაციც.  
ორივე სქესი თანასწორედ მონაწილეობენ  
შთამომავლობის გაუმჯობესებისათვის. თუ  
კაცი მეცნიერებისათვის და ფიქრისთვის  
არის შობილი, სასაცილო არ არის იმის  
თქმა, რომ ქალი სრულიად არ დაბადებუ-  
ლა გონების განსისთვის და ყოველი  
მეცნიერებისა და სწავლის გაღაენის გარეთ  
უნდა დარჩესო?! ეს ამასა ჰგავს, რომ  
ვინმე ამტკიცებდეს: მამალი ორბი ნადირო-  
ბისთვის შექნილია და დედალი კი — რომ ამას  
ფეხ ქვეშ გაეფინოსო.

ზანათლების ხარისხი იზომება იმითი, თუ  
როგორი უფლებები აქვს მინიჭებული დე-  
დაკაცს და მართლაც უკეთესი საწყაი არც

ხანი არ გა'ულა მას აქვთ, რაც ქართული  
სცენა არსებობდა და შენდებოდა იმის  
დახსომება, თუ ვის რამდენი პიესა ეყუთუ-  
ნის, მაგრამ ეხლანდელი რედაქცია უთუოდ  
ჯერ კიდევ ძლიერ ყმაწვილია.\*

„ღვით ბიორგისძე მრისთავი“

მერ წარმოდგენ, მკითხველო, რა ნაირად  
შეგვაწუხა ამ შენიშვნამ! არ იფიქრო, რომ  
ამ მწუხარების მიზეზი დე. მრისთვისაგან  
ჩვენი დამპირება იყოს, არა, ჩვენ დიდი  
იმედი გვაქვს, რომ ღირსეული კაცი ჩვენს დამ-  
პირებას არ მოინდომებს და უღირსის არ  
გვეშინიან. ჩვენ ის გვაწუხებს, რომ კაცი,  
რომელსაც ცხოვრებაში ღირსეული მიზანი  
უნდა ჰქონოდა, წერილმან მიზნებს გამოს-  
დგომია: იმას აღძრვია წერილმანი სურვილი,  
მოსდომებია „ღროების“ ცოდნაში გამოც-  
და და რაკი შეუტყუია, რომ ჩვენ მოლი-  
ერის კომედიის გაფუჭებას მისს მამას ვა-  
ბრალებთ, იშვებს და იხარებს, რადგანაც  
ამით ვითომც უმეცრება შეგვაჩინია. მაგრამ  
ამაზედ ლაპარაკი არა ღირს.

ჩვენ ამას ვიკითხავთ: სად იყო აქამდის  
უფ. დ. მრისთავი, რომ არ შეგვატყობინა  
ცნობები ჩვენის სცენისა და ჟურნალის  
დამფუძნებელზედ? რად წაბაძა ძველ ჩვენე-  
ბურ ექიმებს, რომელნიც თავის პრაქტი-  
კულ საქმიო ცოდნას ფარევენ, არავის არ  
ასწავლიან? ნუ თუ წრეულს სცენაზედ „ძა-  
ლათ ექიმის“ წარმოდგენამდის იმან ვერც  
ერთი მიზეზი ვერ იპოვა, რომ ჩვენთვის  
ამისთანა საჭირო ამბავი მოეთხრო? რო-  
გორც გვახსოვს, ერთხელ, როცა უფ. დ.  
მრისთავმა ბ. მრისთვის თხოვრებები გამოს-  
ცა, აეტორის ძემ ღვითმა შეგვატყობინა,  
რომ ერთი იმ თხოვრებებში ჩართული პიე-  
სა მამი ჩემის არ არისო. რატომ მაშინვე  
არა ჰსთქვა „ძალათ ექიმი“ მამი ჩემის არ  
არისო? ალბათ მაშინ არ ჰსცოდნია, რომ  
„ძალათ ექიმი“ მამა მისის ნაწერი არ იყო  
და ეხლა მაშინდელის თავის უმეცრების  
ჯავრს ჩვენზედ იყრის. და თუ იმან  
ეს ამბავი წინთაც იცოდა და აქამდის თა-  
ვის ყუთში ინახავდა, ძალიან ცუდი უნებე-  
ბია. მამა მისის ნაწერად აქამდის ბევრი პიე-

მოინახება! როდესაც თქვენ ხედავთ, რომ  
მართო მამა-კაცის ნება ბატონობს და მბრძა-  
ნებლობს, იცოდეთ, ეს მხეცები და ბარ-  
ბაროსებია. როდესაც კაცის ნიჭი, გონება  
შეთანხმებულია ქალის ნიჭთან და აზრ-  
თან, როგორც ხორციელად არიან ისინი  
შეერთებული, მაშინ თქვენს წინ დიდებული  
და განათლებული ხალხია.

საცობრიობის მოვალეობაა, შეუერთდეს  
იგი ქალს არა მართო ხორციელად! იმან  
უნდა მისცეს ნამდვილი მნიშვნელობა ცოდ-  
ქრობას, ე. ი. ყოველი სულიერი და ნიე-  
თიერი საქმე თანასწორად უნდა გახადოს  
ორივესთვის. დღეს კი ეს ორი ძლიერი არ-  
სება ამის ნაცვლად კერძას წინ ცხვირ-პირს  
ამტრევენ ერთმანერთს და ამით საზოგადო  
ბედნიერება და წინ-მსვლელობა შეჩერებუ-  
ლია. ჰეშმარიტია, ყოველი აღამიანის მო-  
ვალეობაა, რომ ეს ორი სქესი შეათანხმოს.  
მხოლოდ მაშინ დაწესდება სამართლიანობა  
და ნამდვილი თავისუფლება.

მეველი



თფილისის საზოგადოებრივი ბანკის განცხადება

თფილისის საზოგადოებრივი ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საკრებო, რომ ბანკი 11 იანვარდღან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

იღებს:

- 1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქალაქებში, ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ: სამი თვით . . . . . 6 1/2 % მეტი თვით . . . . . 7 % ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ: სამი თვით . . . . . 7 1/2 % მეტი თვით . . . . . 8 % 2.) სვეციანურს ნელად მიბარებულ ფულში, სარგებლიან ქალაქებში და ვექსილებით უზრუნველყოფილს . . . . . 7 % 3.) ვექსილების დაცვლაში . . . . . 8 % 4.) საქონლის გირაოში: რომელიც მოტანილია . . . . . 9 % რომელიც გზაშია . . . . . 10 %

იხდის

- 1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . . . 5 % 2.) შესანახად მიბარებულში ა.) მოთხოვნამდის . . . . . 5 % ბ.) მეტი თვით . . . . . 5 1/2 % გ.) მართ წლით . . . . . 6 % დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში — სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავროდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძობრივი პირისაგან, მოვჭრე საზოგადოებრივთაგან და კაპიტანებისაგან, ეკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, — ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანხმად, ყველა სასაზოგადოებო და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეტრულობის გირაოდ მიიღებიან; უფრო და ექვს თვემდის ვადიანი — მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი — ცოტა ნაკლებათ. შორით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვებოდეს:

ВЪТФИЛСКИЙ КОММЕРЧЕСКИЙ БАНКЪ

Отъ таково-то ОБЪЯВЛЕНИЕ Препровождая при семь столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя (или на имя таково то, или на предъявителя,) по такому то адресу. Число, мѣсяць и годъ. Подпись и мѣсто-жительство.

მეცნიერული უფროდ ისარგებლებენ უფ. ლაილის მოკლეს ხანს აქ ყოფნით, რომელიც აქ მეცნიერულის განზრახვით მოსულა. საფუძველი მაქვს, რომ უფ. ლაილის, რომელსაც წინ არ უძღვის სპეკულაცია, არამედ უნდა, რომ ძველის მცენარეობა შეისწავას, ზომიერს წლიურს სასყიდელზედ დათანხმდება, რომ ძველისაშია შემოიტანოს ის საქმე, რომლის წარმატებას ის, როგორც მმართველობის აგენტი, თვალყურს ადევნებდა 15 წლის განმავლობაში. რადგანაც ესაა ძველისაში თანდის თან უფრო და უფრო ძლიერდება ვაზის ავითმყოფობა, როდესაც ადგილობრივს მცხოვრებლებს ასე უძვირდებათ ეს მეტად საჭირო იმართვის სასმელი, ღვინის მაგიერ ჩანს შემოღება და საზოგადოდ იმისი შეჩვევა ხალხისათვის ძალიან სასარგებლო უნდა იყოს, არა თუ ჯანის სიმთელისათვის და აღებ-მიცემობისათვის, არამედ ზნეობის და ფარვისათვისაც. სხადლად დამტკიცებულია, რომ ჩი აღძრავს ენერჯიას და საქმიანობას, ახალისებს მუშას შრომაზედ. მაშინდინებს კი, რომელიც ძველის მცხოვრებლების ერთ დიდ ნაწილს შეადგენენ, სხვა სასმელი სრულიად არა აქვთ.

აქ უნდა შევიჩინოთ, რომ უსაფუძვლოდ აბრალდებენ ევროპელებს, კარგი ჩინეთური ჩანს მაგიერ სხვა ჩანს ან წამხდარს ჩინეთურს ყიდიანო. მსლა ყველამ იცის, რომ ეს ცუდი ჩი თვითონ ჩინეთურ ყანებში იკრიფება და თვითონ იქაურს ქარხნებში მზადდება ჩინეთელებისაგან, რომელიც ჩანს სხვა და სხვა ხის ფოთლებს და ყვავილებს ურევენ. როცა ინდოეთში აგრე ძალიან ვრცელდება ჩანს წარმოება, ჩინეთის ჩი ვაჭრობა ძლიერ უნდა შემცირდეს ამ ყალბობის გამო. თუ ყურადღებას მივაქცევთ მოყვანილ ფაქტებზედ, ამასთანავე კარგად შევისწავლით ძველის მცენარეობას, და განსაკუთრებით მხედველობაში გვექნება სოხუმის ჩანს ბუჩქები, ჩვენ ადვილად გამოვიყვანთ იმ აზრს, რომ შორს არ არის ის დრო, (და ეს ჩვენზედ დამოკიდებული) როცა ძველისი ყანების ჩი გაუტოლდება ჩინეთის ჩანს არა თუ რუსეთის, მთელი მეროპის საგაჭრო ადგილებზედ.

ადლოვ მტლინგერ.

შოთი, 12 დეკემბ. 1873.

ლები: სამეგრელო, ზურია, აფხაზეთი, სოხუმის მახრა და ლენკორანის არემაზე.

შარშან სექტემბერში ჩვენ დავათვალიერეთ სოხუმში სახაზინო ბოტანიკური ბაღი და ენახეთ, რომ ჩანს ბუჩქები მარცვლებით დაფარულიყვნენ. ეს ფაქტი უსაცილოდ ამტკიცებს, რომ კავკასიის ჰავა ჩანს გასაშენებლად გამოსადეგია. რომ ამაში სრულიად დეარწმუნოთ, მე მიგიითებთ მცენარეებზედ, რომელიც არსად მეროპაში არ არიან, და აქ კი მოუვლელად იზრდებიან, ისე როგორათაც იპარანიში, ჩინეთში, ინდოეთში: ზეთის ხე, გარეული ბაყაში, strandyum და სხვ.

მეტი არ არის, რომ სამეგრელოს, ზურიის, აფხაზეთისა და სოხუმის მახრის ქალაქადილები ბევრად უფრო ზომიერი დამარგებელი ჰავის არიან, ვინემ ზოგიერთი ინდოეთის მახრები, საცა ჩანს წარმოება აგრე წარმატებით მიდის. ბაბეღით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ მმართველობა ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეზედ, ზოგიერთი ინდოეთელი მცენარეები: ბანგის მცენარე, მთიული შაქრის ლელწამი და სხვ. წარმატებით გაშენდება შემდეგ ძველისაში და დიდ სარგებლობას გვაჩვენებენ.

შეველია, რომ კიტაიური ჩანს ბუჩქი დიდ თოვლსაც გაუძლებს და პატარა ყინვასაც გადურჩება, რომელიც სამეგრელოს ძალიან იშვიათად სკოდნია. ბამოცდილებით დამტკიცებულია, რომ ჩანს ყანებს ზაფხულობით ზომიერი სიცხეები უნდა და ხშირი წვიმები, ზამთრის თვეებში კი სიცივეებია საჭირო ამ მცენარისათვის, რადგანაც ძალიან უხდება იმის ფოთლების კეთილ სუნუნლოვანობას.

ბანსაკუთრებით სუნუნელია ბიშალის ჩაი; აქ ყანები ამისთანა ზომიერ ჰავაში, მთის კალთებზედ არიან, მაშინ როდესაც სამხრეთის ჩინეთიდან და ინდოეთიდან მოტანილ ჩანს სიმარე და გემო აქვს, სუნით კი ძალიან დაბლა სდგას.

ამ მცენარეს შესანიშნავი სიცოცხლის ძალა აქვს, რომელიც სხვა ქვეყანაში იმის გადარგვას და შეთვისებას აადვილებს. ჩანს ყანების დაღება, ქარხანის გაკეთება ფოთლების მოსამზადებლად ძალიან უბრალო საქმეა, ასე რომ ბევრს შრომას არ მოითხოვს და ყოველი სოფელისათვის შესა-

ძლებელია, თუ კი ის ჰქუასა და ღონეს სრულიად მოკლებული არ არის.

ამ მცენარეს ხელახლა გაშენება არ სჭირია, ერთხელ დარგული ბუჩქი ას-ას წლობით იზრდება. ჩამოცივებული მარცვლები-საგან ახალი ბუჩქები ამოდიან შემოდგომაზედ. მითოა ქვეყანებზედ შეიძლება 200 თუ 300 გირვანქა წმინდა ჩი მოვიდეს ანუ დესიატინაზედ 600, თუ 800 გირვანქა.

ამ ქამად ბიშალის მთის არე-მარეში, საცა ჩანს ყანების დაღება 15 წელიწადია რაც დიწყეს (1858-დგან), წელიწად შეერთი მილიონი ინგლისური გირვანქა ჩი მოდის, ან 15 ათას ფუთზედ მეტი; ეს რიცხვი ყოველ წლივ თანდისთან მატულობს.

ინდოეთელი უმაღლესი ხარისხის ჩი სრულიადაც ნაკლები არ არის ჩინეთის ჩიზედ, არც გემოთი და არც სუნით, სიმარეით კიდევ სჯობია.

ინდოეთში ჩანს ყანები კერძობით საკუთრებას შეადგენენ. ამ ყანებს იჯარით იღებენ მუშათ-ამხანაგობანი, უფრო ხშირათ ჩინეთელი მუშები, მაგრამ ხშირათ თვითონ მიწის პატრონებიც უფლიან საკუთარს ჩანს ყანებს.

მაგრამ ეს კია, რომ ინდოეთში ჩანს გაგრეცლება, რომელიც აგრე სასარგებლოა მთელი მხარისათვის, სრულიად კერძობითი პირების საქმე არ ყოფილა. მა მმართველობის საქმე იყო, რომელმანაც თავის ხარჯით გამოიწერა ჩანს თესლი და თავისი მოხელეების ზედამხედველობით აკეთებდა აქა იქ გადასარგავ ყანებს, როცა ბოლოს ჩი კარგად შეეთვისა იქაურს მიწასა და ჰავას, მაშინ მმართველობა მიწის მეპატრონებს აძლევდა ნერგებს და ამათ გაიკეთეს დიდი ყანები იმ აზრით, რომ მერმე იჯარით გაეცათ ისინი.

ამ საქმის სრული წარმატება და დწერა-ლებითი აშბავი მე შეეტიყვე ერთი დაუღალავი მოგზაურის ნალტერ ლაილისაგან, რომელიც ინდოეთში ინგლისელი მმართველობის აგენტი იყო ჩანს ყანების გაგრეცლების დროს და მართადა იქ 15 წლის განმავლობაში როგორც საკუთარს, ისე სახაზინო და კერძო პირების ყანებს. მაღალ ვრაცხ შევატყობინო ეს ცნობები კავკასიელებს, და წარუდგინო ეს მოულოდნელი რეზულტატები მმართველობის კეთილ-განზრახულებას, რომ-

Table with multiple columns: 'დროება' 1874, № 409; 'სოხათ-ფურცელი'; 'თფილისი, 1 ფებრვალს 1874 წ.'; 'ჩინის მზა'; 'თფილისიდან'; 'თფილისისკენ'; 'შავი თფილისი-დან'; 'აქციები'; 'თფილისის მაზანდა'; 'სახაზინო განცხადებები'.